საგაზეთო ჩანართი

ინტელექტი

თვითმმართველობა და განვითარება

№3 / 2010

საინვესტიციო პასპორტი – მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა

ზაზა გორგაძე

ვლადიმერ ხუბულავა

მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია სტრატეგიული გეგმის არსებობის გარეშე, რომელშიც განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები გრძელვადიან პერსპექტივაში. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების რეალიზაცია შეუძლებელია მხოლოდ სხვადასხვა დონის ბიუჯეტების (ცენტრალური, რეგიონალური, ადგილობრივი) სახსრების ხარჯზე. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების სტიმულირებისა და მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზაციისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები გაფართოვდა, მათ შორის თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და რეალიზაციის საკითხებში. აღნიშნული ცვლილებები მუნიციპალიტეტების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზრდასთან ერთად ზრდის აგრეთვე მათ პასუხისმგებლობას ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტასა და სასურველი საბოლოო შედეგების მიღწევაზე, რაც განაპირობებს ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობას.

ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა პოტენციური ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების ინფორმირება მუნიციპალიტეტის, მისი საინვესტიციო მიმზიდველობისა და პოტენციალის შესახებ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება **მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პასპორტი**, რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტს და მოიცავს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, ფინანსური, რეკრეაციული, შრომითი, ინტელექტუალური, ბუნებრივი პოტენციალის ანალიზს მაღალი საინვესტიციო მიმზიდველობისა და კაპიტალდაბანდებების დაბალი საინვესტიციო რისკების დასაბუთების მიზნით, აგრეთვე ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სხვადასხვა დარგის საწარმოების შესახებ და იმ საინვესტიციო პროექტების აღწერას, რომელსაც მუნიციპალიტეტი დასაფინანსებლად სთავაზობს როგორც შიდა, ასევე გარე ინვესტორებს.

საინვესტიციო პასპორტის სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი თავების სახით:

1.ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ:

- ისტორიული ექსკურსი - მოიცავს მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბების, განვითარების ისტორიას, მათ შორის ეკონომიკურ რაკურსში, მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად ეტაპებს, თანამედროვე მუნიციპალიტეტის როლსა და მნიშვნელობას;
- ძირითადი მონაცემები-დაარსების თარიღი, ფართობი, მოსახლეობის რაოდენობა, სატელეფონო კოდი, საფოსტო ინდექსი, მანძილი რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქვეყნის დედაქალაქამდე;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, მათი ხელმძღვანელების საკონტაქტო ინფორმაცია-მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა;
- გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი;
- საგრანსპორტო ინფრასტრუქტურა-საერთაშორისო, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელოვნის საავტომობილო გზები, რკინიგზა და რკინიგზის სადგურები, ავიამიმოსვლა და აეროპორტები;
- მოსახლეობა-რაოდენობა, სიმჭიდროვე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი, მოსახლეობის დაყოფა ასაკის მიხედვით: შრომისუნარიანი ასაკის, შრომისუნარიან ასაკამდე და შრომისუნარიან ასაკს ზემოთ, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა;
- საერთაშორისო, რეგიონთაშორისი და მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობა, პარტნიორული კავშირები-თანამშრომლობა ქართულ, უცხოურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან, არსებული ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სოციალურ-კულტურულ სფეროებში საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებთან და სხვა ქვეყნების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებთან;
- მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობა-მოკლე ინფორმაცია გეოგრაფიული მდებარეობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის, არსებული ეკონომიკური პოტენციალის, ბუნებრივი რესურსების, შრომითი რესურსების რაოდენობისა და კვალიფიკაციის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ-გეოგრაფიული ზონები და მათი დახასიათება.

2. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოლიტიკის საფუძვლები

ამ თავში განიხილება შემდეგი საკითხები:

- საინვესტიციო პოლიტიკის კავშირი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებულ პრიორიტეტებთან;
- საკანონმდებლო ბაზა, რომელიც წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის საფუძველს;
- საინვესტიციო პოლიტიკის მიზნები, რომლებიც მაგალითისთვის შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვა ეკონომიკის რეალურ სექტორში და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის მდგრადი ტემპების, მოსახლეობის ეფექტური დასაქმების უზრუნველყოფა, საგადასახადო ბაზის გაზრდა-გაძლიერება, სოციალური პრობლემების გადაჭრა, მცირე ბიზნესის, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ინვესტორებისათვის პრიორიტეტული ეკონომიკის სფეროების განსაზღვრა.

3. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალი

აღნიშნული თავი მოიცავს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, ფინანსური, ბუნებრივი, შრომითი და ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული, ტურისტული პოტენციალის ანალიზს:

- **ეკონომიკური პოტენციალი** – შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მეწარმე სუბიექტების რაოდენობის, წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების მოცულობის შესახებ ბოლო სამეურნეო წლისათვის დარგობრივ ჭრილში. აქვე განიხილება ეკონომიკის წამყვანი დარგების (სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი, სამთო-მომპოვებელი, მსუბუქი, კვების მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ელექტროენერგიის წარმოება, რესტორნებისა და სასტუმროების მომსახურება და ა.შ) მდგომარეობა, განვითარების ტენდენციები, ინფორმაცია დარგებში მოქმედი მსხვილი საწარმოების შესახებ (დასახელება, მისამართი, საკონტაქტო მონაცემები-ხელმძღვანელები, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, წარმოებული პროდუქციის ჩამონათვალი და მოცულობა, საწარმოს ისტორია, დასაქმებულთა რიცხვი);
- **ფინანსური პოტენციალი** – ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ, მათ შორის საკუთარი შემოსავლების წილი და წყაროები (გადასახადები, მოსაკრებლები და ა.შ.);
- **ბუნებრივი პოტენციალი** – ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი რესურსების შესახებ – მინის რესურსები, სასარგებლო წიაღისეული, ტყისა და წყლის რესურსები, რეკრეაციული რესურსები, თითოეული სახის რესურსის მიხედვით ძირითადი მაჩვენებლები – დაკავებული ფართობი, მარაგების რაოდენობა, სამრეწველო მოპოვებისა და გადამუშავების მოცულობა და ა.შ.;
- **შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალი** – ინფორმაცია მთლიან მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილის შესახებ, უმუშევრობის დონე, დასაქმებულთა რაოდენობა დარგობრივ ჭრილში, მოსახლეობის განათლების დონე, სპეციალისტთა რაოდენობა და მათი საქმიანობის პროფილი;
- **ინფრასტრუქტურული პოტენციალი** – სატრანსპორტო სისტემის მდგომარეობა, განლაგება საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციებთან, მუნიციპალიტეტის დაფარვა სატელეფონო, სამაუწყებლო, ინტერნეტის ქსელით;
- **ტურისტული პოტენციალი** – ინფორმაცია კულორრტების შესახებ და მათი დახასიათება, ტურიზმის სახეობები, ტურისტული მარშრუტების აღნერა, ისტორიული და კულტურული ძეგლების ჩამონათვალი, ინფორმაცია სახალხო დღესასწაულებისა და ფესტივალების შესახებ, ტურისტული ნაკადების რაოდენობა და სტრუქტურა (შიდა და გარე ტურიზმი), ტუროპერატორებისა და ტურისტული სააგენტოების რაოდენობა, სასტუმროებისა და საზკვების ობიექტების რაოდენობა.

4. საინვესტიციო აქტიურობა

აქ უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში განხორციელებული საინვესტიციო პროექტების შესახებ დარგების მიხედვით, ინვესტიციების ნყაროები (ბიუჯეტი, შიდა და გარე ინვესტორები), უცხოური ინვესტიციების განაწილება ქვეყნების მიხედვით, ინფორმაცია მიმდინარე საინვესტიციო პროექტების შესახებ (დასახელება, აღწერა, ინვესტორი, საერთო ღირებულება, განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა).

5. საინვესტიციო რისკები

მოიცავს სოციალური, ფინანსურ-ეკონომიკური, კრიმინალური, ეკოლოგიური და საკანონმდებლო რისკების ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ საინვესტიციო და მთლიანად სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე:

- **სოციალური რისკი** – განისაზღვრება მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური ფონით (უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები, საპენსიო ასაკის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი, მოსახლეობის განათლებისა და კვალიფიკაციის დონე და ა.შ.);
- **ფინანსურ-ეკონომიკური რისკები** – ასახავენ ნეგატიურ ან პოზიტიურ ტენდენციებს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაში, საქმიანი აქტიურობის ცვლილებებს, ცვლილებებს მოსახლეობის შემოსავლებში, დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილებებს, ცვლილებებს საკრედიტო აქტიურობაში და ა.შ.;

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

თანამშრომლობა განვითარებისათვის

პროექტი „აჭარის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიან მდგრადი განვითარებისათვის“ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ განხორციელებული რიგით მე-15 პროექტია, რომლის მთავარ მიზნებს წარმოადგენს სამიზნე მუნიციპალიტეტების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) თვითმმართველობის ორგანოების პოტენციალის გაძლიერება შემდეგი მიმართულებებით:

– ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის დასაქმება, სიღარიბის დაძლევა;

– მუნიციპალურ ფინანსებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტური ფინანსური პოლიტიკის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;

– მოსახლეობის მომსახურების ხარისხის ამაღლება;

– ამ ორგანოების ავტორიტეტისა და მათ მიმართ მოსახლეობის ნდობის ამაღლება.

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის ამაღლებისათვის „ინტელექტმა“ 2006 წლიდან აჭარის 5 მუნიციპალიტეტში 4 პროექტი (“თემზე დაფუძნებული ანტიკორუფციული სამოქალაქო ინიციატივა”, “თემთა მობილიზაციის ინიციატივა”, “თემი და არჩევნები” და “ჩვენი არჩევანი—რეალური თვითმმართველობა” (პროექტი ამჟამადაც მიმდინარეობს)) განახორციელა, რომელთა წარმატებულად შესრულებითაც „ინტელექტმა“ დიდი წვლილი შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების საქმეში.

პროექტი „აჭარის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიან მდგრადი განვითარებისათვის“ პირველია, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტი” აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად კოალიციურად განახორციელებს.

პროექტის კოალიციურად განხორციელების იდეა მისი შემუშავების პერიოდში — 2009 წელს გაჩნდა. „ინტელექტმა“ საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან პროექტის საჭიროების, მისი შემდგომი რეალიზაციის შესაძლებლობის, განხორციელების მექანიზმების განსაზღვრის შესახებ. საკონსულტაციო შეხვედრებზე ჩამოყალიბდა ხედვები, რომ ეს პროექტი განხორციელებულიყო კოალიციურად, სადაც თვითმმართველობის ორგანოები იქნებოდნენ პროექტის შედეგების არა უბრალოდ მიმღები, არამედ მისი განხორციელების აქტიური მონაწილეები.

ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში პროექტი – „აჭარის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიან მდგრადი განვითარებისათვის“ გამარჯვების ერთერთ კრიტერიუმს სწორედ კოალიციური შემადგენლობა წარმოადგენდა.

მართალია, პროექტი თავიდანვე განსაზღვრული იყო როგორც კოალიციური, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან თანამშრომლობის სურვილი. პროექტის გამარჯვებულად დასახელების შემდეგ, თანამშრომლობის შეთავაზების მიზნით, კავშირმა „ინტელექტი“ აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებმა პროექტში ჩართვის მზადყოფნა გამოთქვეს, რომლის დასტურადაც „ინტელექტს“, საკრებულოებსა და გამგეობებს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც 2009 წელს ჩამოყალიბებული იდეების ლოგიკური გაგრძელება იყო. მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ კავშირ „ინტელექტის“ ასოცირებულ პარტნიორებს.

თანამშრომლობის პროცესში შეიქმნება ერთობლივი სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც თითოეული მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგეობა და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ წარმოდგენილნი იქნებიან არანაკლებ 2-2 წევრით და რომელთა საქმიანობა განხორციელდება სპეციალურად შემუშავებული დებულების საფუძველზე.

ერთობლივი თანამშრომლობის პერიოდში თითოეულ მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

• ერთობლივი სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმებს;

• მომზადდება მარკეტინგული სამოქმედო გეგმა;

• მუნიციპალიტეტებისთვის მომზადდება საინვესტიციო პასპორტები;

• ერთობლივი სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს და შეეცდება დანერგოს მუნიციპალური მომსახურების სტანდარტები;

• ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საკრებულოებსა და გამგეობებში განხორციელდება მოსახლეობისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებისათვის ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი მომსახურების ცენტრების ჩამოყალიბება;

• ყველა მუნიციპალიტეტისათვის ინტერნეტსაიტის მომზადდება.

ამჟამად მიმდინარეობს ახალარჩეულ საკრებულოებთან და ახლად დაკომპლექტებულ გამგეობებთან კონსულტაციები იმის თაობაზე, თუ ვინ შეავა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, რომლებიც „ინტელექტთან“ ერთად იზრუნებენ მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისათვის.

საინვესტიციო პასპორტი – მუნიცი პალიტეტში ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა

დასაწყისი პირველ გვერდზე

• **კრიმინალური რისკი** – განისაზღვრება მუნიციპალიტეტში დამნაშავეობის დონის მიხედვით, ასახავს დინამიკაში რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვის ცვლილებას სახეობების მიხედვით (მძიმე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილი და ა.შ.);

• **ეკოლოგიური რისკი** – ასახავს არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას, გარემოს (ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი) დაბინძურების დონეს, მოიცავს ინფორმაციას დაბინძურების ძირითადი კერების, ასევე ბუნების დაცვითი ღონისძიებების შესახებ;

• **საკანონმდებლო რისკი** – კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები.

6. საინვესტიციო საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლები ამ თავში განიხილება:

• **საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები**, რომლებიც არეგულირებენ საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობას (ქვეყნის კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, კანონი მეწარმეთა შესახებ, საგადასახადო კოდექსი, კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, კანონმდებლობა ინვესტიციების სფეროში: კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ, კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ და ა.შ.), მათი მოკლე მიმოხილვა;

• მეწარმე იურიდიული და ფიზიკური პირების **სახელმწიფო რეგისტრაციის პირობები**.

7. საგადასახადო კლიმატი

მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

• **გადასახადები** – არსებული გადასახადების სახეები, მათი განაკვეთები, შეღავათები თითოეული გადასახადის მიხედვით;

• **მოსაკრებლები** – არსებული მოსაკრებლების სახეები საქმიანობის სხვადასხვა სფეროში და მათი განაკვეთები;

• **კომუნალური მომსახურების ტარიფები** – ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის, სანდასუფთავებისა და სხვა კომუნალური მომსახურებით სარგებლობის გადასახადები.

8. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროექტები

ამ თავში აღწერილი უნდა იქნას სხვადასხვა დარგში მოქმედი საწარმოების საინვესტიციო პროექტები შემდეგი სქემის მიხედვით:

• პროექტის დასახელება;

• პროექტის აღწერა;

• პროექტის ინიციატორი;

• პროექტის ღირებულება;

• ინვესტიციების დანიშნულება;

• წარმოების მოცულობის საპროგნოზო მაჩვენებლები წლების მიხედვით;

• სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი (რესურსების ათვისება, იმპორტის ჩანაცვლება, გარკვეული სახის პროდუქციაზე და მომსახურებაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება, დასაქმების უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა და ა.შ.)

9. ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურა

ეს თავი მოიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ტურისტული სააგენტოებისა და ტუროპერატორების, სასტუმროებისა და საზაკვების ობიექტების, ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების, ჯანდაცვის, განათლების, სპორტული ობიექტების, სამართალდამცავი სტრუქტურების შესახებ:

• **ტურისტული საგენტოები და ტუროპერატორები** – დასახელება, მისამართი, საქმიანობის მიმართულება, საკონტაქტო ინფორმაცია-ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი;

სასტუმროები და საზაკვების ობიექტები – დასახელება, მისამართი, ადგილების რაოდენობა, საკონტაქტო ინფორმაცია-ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი;

• **საფინანსო ინსტიტუტები** (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო დაწესებულებები) – საფინანსო ბაზრის მოკლე მიმოხილვა, საფინანსო ინსტიტუტების ჩამონათვალი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია – ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, ბანკომატების რაოდენობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

• **ჯანდაცვის ობიექტები** – ჯანდაცვის სფეროს მოკლე მიმოხილვა, ობიექტების ჩამონათვალი, საქმიანობის სახე, ადგილმდებარეობა, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი;

• **განათლების ობიექტები** – განათლების სფეროს მოკლე მიმოხილვა, უმაღლესი აკადემიური და პროფესიული სასწავლებლების ჩამონათვალი, ადგილმდებარეობა, საქმიანობის პროფილი, საკონტაქტო ინფორმაცია – ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი;

• **კულტურის ობიექტები** – კულტურის სფეროს მოკლე მიმოხილვა, თეატრების, მუზეუმების, კულტურის ძეგლების, დასვენების კერების ჩამონათვალი, ადგილმდებარეობა, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, აგრეთვე სახალხო დღესასწაულებისა და ფესტივალების ჩატარების ადგილმდებარეობა და ვადები;

• **სპორტული ობიექტები** – სპორტის სფეროს მოკლე მიმოხილვა, სპორტული ობიექტების ჩამონათვალი, ადგილმდებარეობა, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი;

• **სამართალდამცავი სტრუქტურები** – პოლიციის მთავარი ოფისისა და განყოფილებების ადგილმდებარეობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი.

საინვესტიციო პასპორტი მზადდება ინვესტორებისათვის იმ მრავალმხრივი შესაძლებლობების მაქსიმალურად სრული და დეტალური გაცნობისათვის, რომელსაც მათ უხსნის მუნიციპალიტეტი სამეწარმეო საქმიანობისათვის. იგი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის წარდგენა, პოპულარიზაცია ინვესტიციების მოზიდვისა და შემდგომი განვითარების მიზნით.

ეკონომიკის ექსპერტები:
ზაზა გორგაძე, ვლადიმერ ხუბულავა

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის “აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის” ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge